ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1266462

ნომერი: AR1217763

თარიღი : 07.05.2014

გაცემის თარიღი : 14.05.2014

გაცნობის თარიღი : 21.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ. სამხედრო გზასა და დიდი დიღმის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ გვილავა პ/ნ 01001010829
- თბილისი იყალთოს ქ. N 8 ბ. 94

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ აღნიშნულის განხორციელება სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია, აღიშნულის თაობაზე საკითხის განხილვის შედეგი უკვე ერთხელ გეცნობათ 2014წ 07 თებერვალს №1113697 გადაწყვეტილებით. განმეორებით გაცნობებთ, რომ სამსახურის პოზიცია თქვენს საკითხთან დაკავშირებით უცვლელია (როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით) და თქვენს თხოვნას წარმოდგენილი სახით თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე დამატებით მიწის შემოკავებით (როგორც არსებული კედლის გამაგრების თვალსაზრისით) ღობის მოწყობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

შესაძლებელია მხოლოდ თქვენს საკადასტრო საზღვრების ფარგლებში არსებული კედლის გამაგრება (დამატებითი ღობის მოწყობის გარეშე) მხოლოდ შესაბამისი სპეციალისტების მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე (გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, ინჟინერ კომსტრუქტორის მიერ უნდა შემუშავდეს კედლის გამაგრების პროექტი– დამატებითი საყრდენი დგარების /კონდფორსების/მოწყობის საშუალებით გამაგრდეს არსებული კედელი და ნაყარი გრუნტის შლის პროცესი შესაძლებელია შეჩერდეს საფარი ბადის მეშვეობითან ან შესაძლოა კონსტრუქტორის მიერ მოფიქრებული სხვა ალტერნატიული ვარიანტი).

რისთვისაც საჭირია აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა მშენებლობის ნებართვა–სამეურნეო და საწარმოო ობიექტები – დამცავი ღობე – ქმედებები: რეკონსტრუქცია–მზიდი ელემენტების, საყრდენი კედლის, დაზიანებული კედლის ან/და შენობის გამაგრება.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური თქვენს საკითხს ხელახლა განიხილავს მხოლოდ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.